ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 107
გამარტივებული შესყიდვა

14213000-მაკადამი/ასფალტ ბეტონი/ ბიტუმიზებული ქვიშა

ქ. თერჯოლა 17 აგვისტო 2017 წ.

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ერთის მხრივ ა(ა)იპ "თერჯოლის დასუფთავების და კეთილმოწყობის მუნიციპალური სამსახური" (შემდგომში შემსყიდველი) დირექტორი ტარიელ ფანჩულიძის სახით და მეორეს მხრივ შპს „ბორანი"-ს დირექტორი ამირან ჩხიკვაძეს (შემდგომში „მიმწოდებელი") შორის და მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი:

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს 3.5 ტონა მაკადამი/ასფალტ ბეტონი/ ბიტუმიზებული ქვიშის შესყიდვა.

2.ხელშეკრულების ფასი:

2.1. ხელშეკრულების სავარაუდო ფასია 525-00 (ხუთასოცდახუთი) ლარი დღგ-ს ჩათვლით.

	დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთ. ფასი	სულ ღირებულება
1	ასფალტ ბეტონი	ტონა	3,5	150	525-00
	ჯამი				525-00

3. მხარეთა უფლება –მოვალეობა:

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ხელშეკრულების ძალაში შესვლისთანავე შემსყიდველს მიაწოდოს ხელშეკრულების 1 პუნქტით გათვალისწინებული საქონელი.

ბ) მიწოდებული საქონელი აკმაყოფილებდეს დადგენილ სტანდარტებს.

3.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება, ხელშეკრულების მე-5 პუნქში განსაზღვრული წესით.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 საქონლის მიღება-ჩაბარება ხორციელდება ქ. თერჯოლაში შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

5. ანგარიშსწორება

5.1 შემსყიდველი მიმწოდებელს საქონლის ღირებულებას აუნაზღაურებს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

5.2 ანგარიშსწორებისათვის გამოიყენება გადარიცხვის ფორმა.

5.3 ანგარიშსწორებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- ანგარიშ-ფაქტურა (სასაქონლო ზედდებული).

6. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები.

6.1 მხარეებს შეუძლიათ მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტონ ხელშეკრულება, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, აღნიშნულის შესახებ წერილობით შეტყობინებიდან 2 დღის ვადაში.

6.2 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

6.3. 7.2. პუნქტში მითითებულ შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს საქონლის ღირებულება.

7. საჯარიმო სანქციები

7.1 ხელშეკრულების ცალმხრივი შეწყვეტისათვის მხარე იხდის პირგასამტეხლოს მეორე მხარის სასარგებლოდ 100 (ასი) ლარის ოდენობით ხელშეკრულების შეწყვეტიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

7.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვადების დარღვევის შემთხვევაში მხარეები ჯარიმდებიან ხელშეკრულების ფასის 2 (ორი) %-ით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8. ფორს-მაჟორი

8.1 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მისი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

8.2 ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგად ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, ან ხელშეკრულების შესრულების შეფერხება არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

9.1 ხელშეკრულების პირობების (გარდა ფასისა) გადასინჯვა შესაძლებელია მხარეების ინიციატივით.

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1 ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა და უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეებს შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაში შედის, თუ ის გაფორმებულია წერილობით და დადასტურებულია ორივე მხარის მიერ.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაშია 2017 წლის 17 აგვისტოდან 2017 წლის 30 სექტემბრამდე.

13. სხვა პირობები

13.1 ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლიარად და თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ხელშეკრულების 1 ეგზემპლიარი ინახება შემსყიდველთან ხოლო 1 ეგზემპლიარი – მიმწოდებელთან.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
ა(ა)იპ "თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის მუნიციპალური სამსახური"	შპს" ბორანი'
მისამართი: ქ.თერჯოლა რუსთაველის ქ.№109.	მის: ქ. თერჯოლა რუსთაველის №7
ს/კოდი: 431945274,	ს/კოდი: 231960296
ხაზინის ერთიანი ანგარიში: 204931440	ბანკი: საქართველოს ბანკი
სახ. ხაზინა: TRESGE22	ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგ. №. GE24NB0330100200165022	ანგ. № GE31BG0000000121481500
დირექტორი ტარიელ ფანჩულიძე	დირექტორი: ამირან ჩხიკვაძე